985ბ




ფასი 10 მანეთი

№ 2

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# „თეატრი და ცხოვრება“


წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, იანვრის 18 | გამოსვლა 1920 წ.




**აკაკი წერეთელი**

(გარდაცვალებიდან 5 წ.)

მთელ სიცოცხლეში სამშობლოს განთავისუფლებას გვიწინასწარმეტყველებდა.



**მისტერ ოლივერ უორდროპი**

ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი, ძმა მარჯორი უორდროპისა, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

985ვ. ბ.

# სამშობლოს ზეიმი

ჩვენს თავისუფლებას გვირგვინი დაედგა. იანვრის 12 ბრიტანეთის უმაღლესმა წარმომადგენელმა მისტერ ოლივერ უორდროპმა ჩვენს მთავრობას აცნობა: დიდთა სახელმწიფოთა უზენაესმა საბჭომ, ლორდ კერზონის მოხსენების თანახმად, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ძლივს, ძლივს განხორციელდა ჩვენის მამულიშვილთა დიდის ხნის ნანატრი ოცნება. ამიერიდან ჩვენი სამშობლო შეიქმნა თავის თავის ბატონ-პატრონი და დიდთა სახელმწიფოთა სწორუფლებიანი წევრი—ამხანაგი.

დიდია ეს ბედნიერი დღე, მაგრამ ამავე დროს დიდია მოვალეობა საქართველოსი, ყოველი ქართველისა, საქართველოს ყოველი ერთგული შვილისა:

დღემდე სხვის ტყვეობაში მყოფი, სხვისი მზრუნველობით ვითომდა დაცული საქართველო დღეს თვისი თავის უზენაესი მეფე-ბატონია.

გინახავთ თუ არა ახალი დასანიშნი ქაბუკი ანუ ასული,—ვიდრე ცალკე ოჯახს გაიჩენს რა უნდილია და ოდეს საკუთარ ოჯახში შესდგავს ფეხს, რა სიხარულს და ამავე დროს სიმძიმეს იგრძნობს ახალ მოვალეობის წინაშე?

დღეს სწორედ ასეთი მოვალეობა დააწვა ჩვენს ქვეყანას.

ჩვენმა ქვეყანამ ამიერიდან პირნათლად უნდა შეასრულოს ჩვენთა მამა-პაპათა ანდერძი, რომ თუ თავი შენი შენ გახლავს—ღარიბად არ იხსენიებიო, დაადასტუროს რწმენა მებრძოლ თაობათა, რომ ჩვენი ქვეყანა ღირსია თვითარსებობისა და იმედი უცხოელთა, რომ ჩვენ ღირსეული წევრი ვიქნებით ყველა ერთა...

ბრძოლა, შრომა და სიყვარული,—აი რა უნდა იყოს ამიერიდან ჩვენი მცნება.

* * *

ამიერიდან უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სამშობლო ხელოვნების—მწერლობის, თეატრის და მუსიკის აღორძინებასაც.

შოთა იყო, რომ თვისი უკვდავი შემოქმედებით მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დიდი ბრიტანეთის და განათლებულ კაცობრიობის ყურადღება საქართველოზე მოსჯაჭვა: მეცხრამეტე—მეოცე საუკუნის მწერალი—მამულიშვილნი იყვნენ, რომ წინასწარმეტყველურის რწმენით გვიმოციქულებდენ სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოებას; თეატრი იყო, რომ მარადის სიყვარულის, სილამაზის, გაადამიანებისა და სამშობლოს თავისუფლებისაკენ მოგვიწოდებდა; მუსიკა იყო, რომ მარად მშობლიურ ჰანგებით გვასაზრდოვებდა... დაე, მადლი და სხივოსნება ამ ხელოვნებისა ფართედ მოეფინოს ჩვენს საყვარელ თავისუფალ სამშობლოს ყოველ კუთხეს.

დღეს მოზეიმე ჩვენმა სამშობლომ ეს არ უნდა დაივიწყოს.

* * *

დღეს ერთი ლა დაგვრჩენია—თვალის ჩინივით მოუაროთ ჩვენის სამშობლოს დამოუკიდებლობას: დაე, თითოეული ჩვენთაგანი ნუ დაიშურებს თავისს სიცოცხლეს სამშობლოს სიცოცხლისთვის და მაშინ ყველა ჩვენგანის სიცოცხლე უზრუნველყოფილი იქნება.

კურთხევა სამშობლოს თავისუფლების მოციქულ—წინასწარმეტყველთ, რომელთაც მუდამ სწამდათ ეს აზრი, მაგრამ ვერ იხილეს ეს ბედნიერი დღე.

მარად ხსენება მათ, რომელთაც თავისის წამებით, დევნით, ციხე-ციმბირ-კატორღაში დაღუპვით ეს ბედნიერი დღე გვაღირსეს!

სალამი ჩვენი ერისა და დემოკრატიის დღევანდელ ბელადებს, რომელთ დაუცხრომელმა მუშაობამ ეს ზეიმი გვაღირსა.

სალამი ჩვენს დამცველ ლაშქარს—გვარდიას და ჯარს, რომლის თავგამოდებულმა ბრძოლამ თვით ურწმუნო თომანიც დაარწმუნა, რომ ჩვენი თავის მოვლა შეგვიძლია.

სალამი ჩვენს ძლიერ დემოკრატიას, რომელმაც შესძლო დამოუკიდებლობის მოპოება!

სალამი ახალო თაობავ, ნორჩო ძალავ, რომელს სანატრელი ბედი გეწვია—თავისუფალ სამშობლო ჰაერით აღზრდა მშობელ ერისა და კაცობრიობის უკეთეს იდეალთა გასავრცელებლად!

და იხარებდე შენც სულო ჩემო, რამეთუ მრავალ წლის ნაწამებ ნატვრის შემდეგ იხილე ზეიმი ერისა—საქართველოს დამოუკიდებლობა.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის დამოუკიდებლობას!

მე უზომოდ დავითვერ. არყით?—არა! ღვინით?—არც ამით! ტურფა ასულო შენის ეშხით?—არა და არა!—მე დავითვერ ჩვენის სამშობლოს თავისუფალ მზის კაშკაშით და, დაე, სამშობლოს ეს თავისუფალი მზე, ჩემო ძვირფასო მკითხველო, შენც გათრობდეს, უკუნითი უკუნისამდე გიკაშკაშებდეს, გათბობდეს, გასაზრდოებდეს!..

**იოსებ იმედაშვილი**



შოთა რუსთაველი

რომლის უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი“ შეიქმნა საბაბი ინგლისის ჩვენთან დაახლოვებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა. კურთხეულიმც იყოს ხსენება ჩვენის სულის მსაზრდოებელისა.

# ფიქრი საქართველოზე

## I

რა დიდებულ ამბების მომსწრენი ვართ!

ჩვენ გავხდით მოწამენი უდიდებულეს ისტორიულ აქტისა.

ას-ჩვიდმეტის წლის ტყვეობაში მყოფი ერი განთავისუფლდა, წელში გაიმართა და მტკიცე, შეურყეველი საძირკველი დაუფუძნა თავისს სახელმწიფოს.

სწორედ რომ საკვირველებაა. ამ საშინელ არევდარევის და მსხვრევა-მტვრევის დროს პატარა საქართველომ თავისი საკუთარი ძალებით არა თუ უამრავი გარეშე თუ შინაური მტერი მოიგერია, პირიქით: დაამკვიდრა საუცხოვო წეს-რიგი და ხელი მიჰყო სახელმწიფოებრივ აღმაშენობითი მუშაობასაც.

ტრაღიკული წამი იდგა საქართველოსთვის იმ დროს, როდესაც მისი დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“! ის მარტოდმარტო იყო თავის ანაბრად მიტოვებული.

გარშემო კი ყოველის მხრით მტრის ურდოები შემოსეოდა, სრულ განადგურებას უქადიდა.

შიგნითაც არ იყო საქმე სანუგეშოთ: აუარება რუსის აფიცრობა თუ ჩინოვნიკობა, რომელთაც ჩვენს დედა ქალაქში მოეკალათნათ. რესპუბლიკისთვის საშინელ საფრთხეს წარმოადგენდენ.

სასურსათო საქმეც არეულ-დარეული იყო.

არც მართველობის აპარატი იდგა თავის ადგილას.

მაგრამ თანდათანობით სულ ადრე ყოველივე მოეწყო, თავის კალაპოტში ჩადგა.

გარეშე თუ შინაური მტერი სასტიკად იქმნა ალაგმული ჩვენი სახელოვანი გვარდიის და ჯარის მიერ.

სწორეთ, რომ გასაოცარია ის გოლიათური, ის ბუმბერაზული სიმტკიცე, რომელიც ჩვენმა ერმა გამოიჩინა.

ჩვენი დემოკრატიის საღმა ინსტიკტმა თავის გენიოს ბელადის ნ. ჟორდანიას მეთაურობით, ყოველივე გასაჭირს სძლია, ყოველივე დაბრკოლება გადალახა და თავისი პატარა ნავი აბობოქრებულ ცხოვრების ზღვიდან სამშვიდობო ნავთსაყუდელს მიიყვანა.

საქართველომ მაშინ დაიწყო თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება, როდესაც მთელ მსოფლიოში სუფევს კრიზისი და არევ-დარევა ევროპიის განვლილ საშინელ ომის მიერ გამოწვეული.

ასეთი მდგომარეობით შერყეულია ევროპის პირველ ხარისხოვანი სახელმწიფონი და, რასაკვირველია, ამას საქართველოს ცხოვრებაზედაც აქვს თავისი გავლენა.

მიუხედავათ ამისა, საქართველო გამაგრდა, გამტკიცდა და შეუჩერებელის ნაბიჯით მიდის წინ, საუკეთესო მერმისისაკენ.

მისი ცხოვრების ყოველ დარგს ემჩნევა გამოცოცხლება, განვითარება.

მსოფლიოს სვებედის გამგეთაგან ქართველი ხალხის უზენაეს უფლების—საქართველოს დამოუკიდებლობის ღარება—გვირგვინია ჩვენი თავისუფლებისა და ყოველმხრივ აღორძინებისა!...

გრიშა კუნჭულია



მისს მარჯორი უორდროპი

გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო, რომელმაც 20 წლის წინად ინგლისურად გადათარგმნა „ვეფხის ტყაოსანი“, „განდეგილი“ და სხ. რითაც ინგლისს გააცნო ჩვენი წარსული დიდება. საქართველო იმდენად უყვარდა, რომ სიკვდილის წინ სთქვა: „საქართველოდან თუ გვირგვინი მელირსოს სამარეში ჩამაყოლეთო“. და ასეც მოიქცნენ. ნეტარ ხსენება ინგლისის ტურფა ასულს მისს მარჯორის: მისმა შრომამ დიდათ ინაყოფიერა საქართველოს საბედნიეროდ.



**მიხ. ბოჭორიშვილი**

სამწერლო მოღვაწეობის 10 წლის შესრულების გამო. ცალკე გამოვიდა მისი ეტიუდები.

# თეთრი დარბაზი

(ნაწყვეტი რომანიდან „სიყმაწვილე“).

მაისის მზე უკოცნის კალთებს სამშობლოს.

მაისის სურნელება ათრობს სამშობლოს სივრცეს.

მაისის სიხალისე აგიზგიზებს განაწამებ სიცოცხლის დღეებს...

მაისი შესცინის სასახლის კარებს...

თეთრი დარბაზი ყვავილებით შემკობილი ელის ამირანს.

თეთრი დარბაზი თეთრ გიორგის ელის თეთრ რაშით.

თეთრი დარბაზი საზეიმოთ შემოქარგული დღეს მოისმენს ერის სურვილებს.

თეთრ დარბაზში საქართველო დღეს იმღერებს ნანატრ სიმღერებს...

თეთრ დარბაზში დღეს ითქმება რაც ჯერ არ თქმულა.

თეთრ დარბაზში დღეს დაიდგმის წმიდა სამსხვერპლო.

თეთრ დარბაზში ხელ აპყრობით დღეს ღაღად ჰყოფს თეთრი ქურუმი: აღსდეგ მამულო!

აღსდეგ!

გრგვინვა-ქუხილში იკარგება ქურუმთა ხმები.

ნანატრ ხმებით დამთვრალი შევცქერ თეთრ დარბაზის თაღს.

და უეცრივ, ვით სასოება განვლილ სიცოცხლის დღეთა, ბროლის მძივებით მოქარგულ შანდლის ციმციმში ვხედავ განაწამებ გულნარას სახეს.

თრთოლვით, ცახცახით ვაპყრობ ხელებს და ვძახი: თეთრ დარბაზში ჩვენი ერის ხმა გაისმა ჩემო გულნარა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ცუდათ შევიქენ. სისხლმა ამოხეთქა გვერდიდან. ვერ მოვითმინე...

ცრემლებით დავნამე... მწუხარება ჩავაქსოვე სამშობლოს მკვდრეთით აღდგომას.

**მიხ. ბოჭორიშვილი**

# სიმწუხარე

გინახავთ თქვენ, ყაყაჩოს ქარი რომ არწევს?
მაშინ ღეროზე ის მოსვენებით არ წევს
და,
როს აღმოსავლეთს მზე ალისფრათ დაღებს,
აშკარათ შეამჩნევთ სიმწუხრის შავ დაღებს!

* * *

იმედი რო დამიჭკნა, მქონდა მეტი რა?
ნამტირალი თვალები ისევ მეტირა!

* * *

საღამოს, როს გართული ვარ დედის მოვლით:
იქანცება სული ოცნების ტყის მოვლით!

* * *

თვალთგან მონასხლეტ ცრემლს ვარდზე სიო არწევს,
სიხარული გრძნობის სარეცელზე არ წევს
და,
როს აღმოსავლეთს მზე ალისფრათ დაღებს,
აშკარათ შემამჩნევთ სიმწუხარის შავ დაღებს!

**ლადო პერტაია**



**აკაკი ჩხენკელი**

რომლის დაუცხრომელმა მუშაობამ საზღვარ გარეთ მოამწიფა და დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება.

## ახალი აღდგომა

დღეს კვლავ აღსდგა ჩემი ერი, ერი სასახელო!
დღეს ზეიმის ღირსი არის ჩემი საქართველო:
სრულ უფლებით აღჭურვილი ჩემი ტურფა ერი.
მთელ მსოფლიოს დაამშვენებს კოხტა, მშვენიერი!
ვარდ—ყვავილით მოიქარგეთ ივერიის მთებო!
თქვენც მერცხლებო აჭიკჭიკდით პაწ[illegible], კუდრაჭებო!
ტკბილი ხმებით მოულხინეთ ახალ აშლილ [illegible]ღელოს,
ახალ ჰანგზე უჭიკჭიკეთ ახალ საქართველოს.
საზეიმოდ აიშალეთ ჩემი ერის შვილნო!
დღეს ახალი აღდგომაა, უნდა მოილხინოთ!..

**დ. ჭანჭათელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





გიორგი ერისთავი

პირველი დრამატურგ-მსახიობი, რომელმაც ქართულ თეატრს საძირკველი ჩაუყარა და ამ თეატრმა აღზარდა საქართველოს მოყვარული შვილები. ნეტარ ხსენება!



ილია ჭავჭავაძე

რომელიც მთელ სიცოცხლეში ერს სამშობლოს სიყვარულსა და თავისუფლებას უმოციქულებდა. იხაროს სულმან საქართველო უკვე თავის თავს ჰყუდია.

# დრამატიული ხელოვნება

(ძღვნად ხ. ვარდოშვილს)

ძველია სცენა, სცენიური ხელოვნება, მაგრამ მისი დრამატიულ ხელოვნების ატრიბუტად მიჩნევა – უთვლად მიუღებელია, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ.

ბევრი დღეს სრულიად უარყოფს თეატრს, თეატრალურ შემოქმედებას, მსახიობრიობას და მეტის სითამამით იმეორებენ მას ნორდაუს მწვავე პარადოქსს, რომ მსახიობრიობა მაიმუნობაა.

ხელოვნება, როგორც სხვა ყველა დარგი მეცნიერებისა, სოციოლოგიურ კანონებს ემორჩილება. განსაზღვრული ეპოქა განსაზღვრულ ფორმებით შლის სულიერ სამყაროს. ეს დამოკიდებულია ტეხნიკურ საშუალებებზე. ტეხნიკა-კი, როგორც ვიცით, თანდათან – რთულდება, უფრო და უფრო ემორჩილება ადამიანის ნებას.

კულტურას განსაზღვრულ ხანაში განსაზღვრული კლასი მეთაურობს და თავის სოციალ-ეკონომიურ მიზნებისთვის იყენებს.

ეს დღეს უდავო ჭეშმარიტებადაა აღიარებული.

საბერძნეთში თეატრი ფრიად კეთილშობილურ მიზნებს ემსახურებოდა. იგი – ქმნიდა ატლეტს, ავარჯიშებდა ადამიანის სხეულსა და მით ეღლინთა ქანდაკებანი თავის მიზან-შეწონილ პროპორციით რითმიული მუსიკის შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებელში. ის იმ ხანაში ხელოვნების უცილო პანთეონი იყო. მაგრამ სოციალური განვითარება ქმნის ახალ საზოგადოებას და თეატრიც ამნვე საზოგადოების კანონებს ემორჩილება. დღეს თეატრი მოსწყდა თავის ნამდვილ დანიშნულებასა და სარგებლიანობის — დაწესებულებად იქცა. უნდა განხორციელდეს ტრიადა და თეატრიც დაუბრუნდეს — ხელოვნების სამსახურს. ეს სოციოლოგიის კანონია.

სულ სხვაა დრამატიული ხელოვნება. ეს ყოველთვის არ ავსებს თეატრალურ შემოქმედის ხელოვნების აზრს, როგორც ამას ბ-ნი ვ. კარატევი გულისხმობს. მაშინ დრამატიულ და თეატრალურ ხელოვნებას შორის არავითარი განსხვავება ar უნდა ყოფილიყო რაც სიმართლეს და სინამდვილეს მოკლებულია. ჩვენ ამ წერილში აღარ გამოუდგებით იმის მტკიცებას — კლასიურია თუ არა ხელოვნება და კერძოდ დრამატიული ხელოვნება.

ამაზედ ჩვენ ვწერდით წინად (იხ. ფელეტონი „სოც. დემ.“ 1918 წ. 19 ივლისის).

მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ ორი მიმდინარეობა დრამატიულ ხელოვნებასა და თეატრის საკითხში.

უდავო ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომ ადამიანი ცდილობს თვისი ზრახვანი ემპირიულად გადმოშალოს, რასაც შედეგად კრიტიკული განხილვა ყოველთვის თან სდევს. ეს მისწრაფება ადამიანში ყოველთვის იყო, მაგრამ არა ერთნაირ ხარისხით ყველაში და ყოველთვის. ხელოვნების დარგში ყველაზე უფრო ძლიერად ამას დრამატიული ხელოვნება ასრულებს. ამ ბოლო დროს ვაგნერიდან დრამატიული ხელოვნება ვითომდა იჩრდილება (თეორიულ კამათში), მუსიკა ფილოსოფიურ სიუჟეტებსაც კი ეპატრონება და მთავარ ადგილს იჭერს. სიტყვის, მოქმედების ადგილს მუსიკა იჭერს. ლევ ტოლსტოის და არტურ შ. შოპენჰაუერის აზრით ხელოვნების ყოველმა დარგმა მუსიკას უნდა დაუთმოს ადგილი, რადგან იგი ყველასთვის გასაგები და შესათვისებია, მაგრამ თვით ისეთი ჰუმანური აზრებიც კი, რომელსაც ქრისტე ქადაგებდა ყველასთვის შესასმენი ვერ გამოდგა და ამისთვის იტყოდა ქრისტე „რომელს გაქონან ყურნი — ისმენდითო!“.

ჰერჰარტ ჰაუპტმანის „ჩაძირული ზარი“ საბედისწეროცდაა, რომ ვითომც შესაძლოა მუსიკის საშუალებით ყველა გაერთიანდეს. ეს სრულქმნილი უტოპიაა და დრამის ადგილს მუსიკა ვერასოდეს ვერ დაიჭერს. სულ სხვაა ტეხნიკური მხარეები. სიტყვა ვერ დაჰკარგავს მუსიკას, ისე — მუსიკაც სიტყვას. ფსიქოლოგიური ანალიზითაც ვერ გავამართლებთ დრამ. თეატრის მოწინაღმდეგეთ. თეატრი უნდა დაუბრუნდეს ხელოვნებას, სიდამაზე უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



განთავისუფლდეს სარგებლიანობისაგან. ეს იქნება უდიდესი გარდატეხა თეატრალურ შემოქმედების ისტორიაში. ხოლო დრამატიული ხელოვნება შეურყეველი დარჩება თავის ადგილზე, რადგან იგი თვით სინამდვილე სასურველობის შეხამება-შეგუებაა, ადამიანის ზრახვათა ემპირიულად გარდაშლის ლაბორატორია.

დავასაც ჩვენ შესაძლებლად ვცნობთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ისახოს დრამატიული ნაწარმოები სცენაზე.

კრიტიკულ ლიტერატურაში დრამას წინაამდეგ ამხედრდენ ევევალისტები, შემდგომ კი მას მხარი დაუმშვენეს ფუტურისტებმა. იმათ უარყვეს დრამა-თეატრი, რადგან იგი ცხოვრების ბაქანზე ვერ თავსდება, ადგილი არა აქვსო (за бортом современности. ითვალისწინებდენ ადამიანის ფსიქოლოგიურ მხარეს და ამტკიცებდენ: სიტყვა ვერ ხატავს მოქმედების სტილს, რითმას; სიტყვის ლექსიკონი გამოილია და უნდა გამეფდეს დუმილის სექტაო. როგორც ხედავთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად რთულ ფსიქოლოგიურ და ისტორიულ მოვლენასთან. მაგრამ ამ პრობლემას გადაჭრას ვერ იკისრებს დრამატიული ხელოვნება, ვერც თეატრალური. ჩვენ უფრო ღრმად უნდა ჩავყვეთ ამ კითხვას და მივადთ იმ სოციალურ საძირკვლამდე, რომელიც ნიადაგია ადამიანის სულიერ-გონებრივ შემოქმედებისა.

ამ რიგად ზემოდ დასახელებულ კითხვას ჩვენ უფრო ფართედ უნდა შევხედოთ და მისი გადაჭრა მარტო ხელოვნების სამყაროში არ მოვამწყვდიოთ. თუ იქნება შეთანხმება იმ ძირითად დებულებაში, რომ დრამატიული ხელოვნება ყველაზედ უფრო ობიექტიურია და იგი თვით ცხოვრების იდეასთან შეხამებით ასახვაა, ძალა-უნებურად უნდა იწამონ ევალისტ-ფუტურისტებმა, რომ უარყოფა ხელოვნების დრამის ფორმებში უარყოფაა თვით ცხოვრების ობიექტივიზაციის და რეალ-სილამაზის, რომელიც საფუძველია ესთეტიურ მეცნიერებისა, რასაც ასე ძვირად აფასებენ განსაკუთრებით ევევალისტები

ამ რიგად დრამატიული ხელოვნების უარყოფა ერთის მხრით სასაცილოც არის, რომ ამავე დროს სამწუხარო არ იყოს. მაგრამ თეატრს, თეატრალურ შემოქმედებას ყავს მომავალი საზოგადოება, რომელიც შეიყვარებს სიცოცხლეს და თეატრის საკითხში და კერძოდ ხელოვნების ერთ ერთ დარგში—დრამატურგიაში მან უნდა იკისროს შემოქმედება. ეს დიდი სოციალური კითხვაა და იგი კითხვა კლასიურ ნიადაგზე გადაიჭრება.

ვ. კეკელია

## ცოდვა

ისე მიყვარდი, როგორც დილის ნამს მწვანე ბალახი, როგორც ავრორას—სუსხიან გარიჟრაჟზე თრთოლვა, როგორც ხშირ ტყეს—ტბის სარკეში ჩახედვა...

მაგრამ ვერ მოვალბე შენი გული და ერთი კოცნაც ვერ მოგტაცე მიუკარელს. შენი ღიმილის მონატრული ვიყავი და შენმა სიყვარულმა სიკვდილად მაქცია...

* * *

მე მოვკვდი... შენც დამივიწყე... განვლო დრომ და ჩემსობოლ საფლავზე მშვენიერი ვარდი ამოვიდა... მისი სიქორფე ჰგვანდა ჩემს ახალგაზრდობას და მისი სისუფთავე—ჩემ სულის სიწმინდეს. ის თვით მე ვიყავ, მაგრამ ვარდის სახით...

* * *

... ერთხელ, ცხოვრების სრბოლით ახალგაზრდობა წართმეული, ჭაღარა თმით, რომელიც დაგევარცხნა ისევ კოხტად, როგორც ყმაწვილობის დროს ივარცხნიდი შავ კულულებს, დამჭკნარ სახით და მასზე სიბერის ნაოჭებით, მილეულის, ცეცხლ ჩამქრალ თვალებით, შეამჩნიე ის სუფთა ვარდი და შენს სახეზე სიბერის ღიმილმა გადაირბინა. აკანკალებულ ხელით და მთრთოლვარე გულით მოსწყვიტე იგი ვარდი და გულზე გაიკეთე.

იმ ქორფა ვარდმა შენ მოხუცი დაგამშვენა... გულში აღგიძრა წარსულის მოგონება... შენს გარშემო ითალხებოდა შემოდგომის ბუნება და შენც მის წიაღში მწარე ფიქრს მიეცი თავი, წარსულის ფიქრს და მოგონებას. ვეღარ შესძელ ფეხზე დგომა და იქვე სკამზე ჩამოსჯექ ბუჩქების შორის...

და ვარდი დასჭკნა ისევ შენს გულზე...

ამ დროს კი ჩამავალი მზე დასავლეთისკენ იხრებოდა, წითლად ჰღებავდა შორეულ ცის კაბადონს და თან მიჰქონდა ნათელი დღე, ფრინველთ გალობა, წარსულის მოგონებანი და შენი მოხუცი სიცოცხლეც... მიჰქონდა სამუდამოდ...

არჩილ მაჭავარიანი

## ცვალებადობა

რად გინდა სიუხვე ცვალებად გრძნობების,
სასურველ მოვლენას ვარდის ფრად შეღებილს,
შექუფრავს მყობადი და ვინძლო, ეგების,
ისურვო კვლავ ხილვა გარდასულ ოცნების,
შეხვდები ნაკვალევს მწუხარე გოდების...

მწუხარე ნაღველი იწვიმებს ჩემს სულში...
დარღვეულ სასახლის ჩამოყრილ კარებთან,
სად ქონდა ოცნების ქარავანს წარსულში,
სად ვსრბოდი თვალებით ჩემს სატრფოს თვალებთან,
მრავალთა ღამეთა გავათევ წვალებით...

დ. დოლიძე



იოსებ გედევანიშვილი

დრამატურგი და შესანიშნავი სარდალი, რომელმაც: მხედრობის მამაცური ხელმძღვანელობით გააძლიერა საქართველოს თავის დაცვის უნარი და უცხოთა თვალში აგვამაღლა. აგრეთვე თავისის პიესებით გააღვია ქართველი დემოკრატიის ეროვნულ—სოციალური გრძნობანი.

---

# განახლებული სიცოცხლე

**რომანი ქართველ-სომეხთა ომიდან.**

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. 1919 წ. „თ და ც.“ № 1—14)

ს მდივანი ახლა კი დარწმუნდა ჰქონდა დროს მოსაგებათ უკრავდა გზას. ამიტომ ყარაქლისიდან ერევანში პირდაპირი მავთულით გამოელაპარაკა სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ტიგრანიანს, რომელთანაც საზეიმო ნადიმების დროს მშვენიერი სიტყვებით არა ერთხელ აუგიათ სომეხ-ქართველთა ძმობა-ერთობის მარგალიტის კოშკები. „უეჭველია იგი დამეხმარება და თბილისს მალე ვიხილავო“.

— ლამის არის, სომეხ-ქართველთა ერთობის განსამტკიცებელი ჩვენი თვე-ნახევრის მუშაობა გაცამტვერდეს. ეს ცეცხლი თუ ახლავ არ ჩაქრა, ისეთი კოცონი აინთება, რომლის შედეგს ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ. უთხრა ს. მდივანმა.

— აურზაური მაშინ ჩაქრება, როცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა ახლავე გაიყვანს ჯარებს ბორჩალოდან... გარდა ამისა,—საქართველოს მთავრობამ ახლავე უნდა შეწყვიტოს სამხედრო მოქმედება და ჯარების მოზღვავება. გენ. წულიკიძეც მოშორდეს.

— გენერალი წულიკიძე სოფელთა წინააღმდეგ იარაღს არ იხმარს და ვერც სამხედრო მოქმედებას დაიწყებს.

ტიგრანიანს ეს იამა და გულში ჩაითქვა: „დაიცათ, ჯერ სადა ხართ?“ და მერე ხმა მაღლა დაატანა:

— ჯერჯერობით მშვიდობით.

— გამარჯვებით, გისურვებთ ყოველივე კარ.

— გმადლობთ.

ვერც ამ დღემ მისცა რა საქართველოს ელჩს.

ქრისტეშობისთვის 11 ნაშუადღევს თბილისიდან სანაინისაკენ გაიგზავნა მეხუთე პოლკის ორი როტა, ას ორმოც კაცამდე. მაგრამ გენ. წულიკიძეს ამ ვითომდა მიმშველმა ძალამ წყლული ვერ გაუმთელა. სომხები გაცილებით უფრო მეტნი იყვნენ და ამავე დღეს დაიჭირეს ალავერდის მაღლობები. გენ. წულიკიძე მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე ალავერდი დაეცა და შეტევაზე მაშინ გადავალ, როცა საკმაო ძალა მომეშველებაო. და ამ მოლოდინით გულზე ზხამ-გადათხეული, ხელფეხ გაკრული, გულის ფანცქალით გაჰყურებდა ალავერდის მაღლობებს, საიდანაც ჟამის-ჟამად გამოჩნდებოდენ ხოლმე სომეხთა მოწინავე რაზმები. გენ. წულიკიძე რომ თავისი მცირე რიცხოვან ჯარით მამაცურად აკავებდა მტერს და ყოველ მის ნაბიჯს აბრკოლებდა, რათა მით რესპუბლიკის ჯარების გამოსვლისთვის დრო მიეცა, ვ. გოგუაძე თბილისს გამოქანდა მთავრობასთან პირისპირ მოსალაპარაკებლად.

სომხებმა სანაინის მხრივ რომ კარგა მანძილი წამოიწიეს და დარწმუნდენ, ახლა წინ აღარაფერი დაგვიდგებაო, ჯავახეთში თავისი მუშაობა უფრო გააძლიერეს: უხშირეს უწესოების გამოწვევას, თურქების ქართველთა წინააღმდეგ გაღიზიანებას, ქართველ მუსულმანთა აკლებას და სხ. მათმა მძარცველობამ თვით მკვიდრი სომეხნიც კი მოთმინებიდან გამოიყვანა...

ჯავახეთის გლეხობა არა ერთხელ იყო ნაწამებ-დასჯილი: ოსმალთ შემოსევა, სომეხთა მძარცველობა თუ ქვეძუდანობა ადგილობრივ ხალხს მწარე დაღად დააჩნდა... ხოლო, როცა საქართველოს ჯარი შემოვიდა მშვიდობის მომფენ რტოთი, მკვიდრთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: „მადლობა ღმერთს, ალბად მას დავიწყებული არა ვყოლივართო“, სთქვეს, ხოლო, როდესაც სომეხთა თავგასული რაზმები საზღვარს მოადგნენ, საშიშროების აჩრდილი ხელახლად წინ აღეყუდა ჯავახეთის ყოველი სჯულის მცხოვრებს...

ეს იყო 1918 წ. ქრისტეშობისთვის 10—11.

სანაინას მხრივ მომქმედმა სომეხთა სარდლობამ, რაკი ომის თაოსნობის უნარი თავისად იგულა ერთი ძლიერი რაზმი ახალქალაქის დასაპყრობად წარგზავნა. დარწმუნებულნი იყვნენ, აქაც ერთის ხელის დაკვრით გავიმარჯვებთო!

სომეხთა რაზმმა ახალქალაქის მაზრა ქრისტეშობის 10 გადმოლახა. აქ დაბანაკებულ ჯარის მთავარსარდლობა მინდობილი ჰქონდა დამსახურებულ გენ. მაყაშვილს, რომელიც შედარებით მეტის თვითმოქმედების უფლებით სარგებლობდა.

ერთ სუსხიან საღამოს გენ. მაყაშვილი თავის სამუშაო ოთახში მძიმე ფიქრებში იყო გართული—რა გზით დახმარებოდა მაზრის გაჭირვებულ მცხოვრებელთ. ამ დროს აცნობეს:

— სომხის გაწყობილმა ჯარებმა საზღვარი გადმოლახესო.

გენ. მაყაშვილმა ჩაიღიმა, მერე კოპები შეიკრა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს ხალხი წერას აუტანია, მაგათ ჭკუის სწავლება უნდაო და მაშინვე მოინდომა იარაღით შებმა, მაგრამ ვითარცა სულგრძელ ქართველსა და სოციალისტურ მთავრობის მხედარს შეეფერებოდა, ისევ მშვიდობიანის გზით აირჩია საქმის დაბოლოვება: სომეხთა რაზმის სარდალს ორი მოციქული გაუგზავნა—სომეხ ლტოლვილთა კომიტეტის რწმუნებული აბელიანი და პოლკოვნიკი გველესიანი და შეუთვალა:

— გათენებამდე მთელ ჯავახეთის არემარეში თქვენი ჯარისკაცის ხსენება არ იყოსო..

სომეხთა მოთარეშე რაზმის უფროსი ისე იყო გაყვინიზებული, რომ ეს მოთხოვნილება არაფრად მიიჩნია:

— ეგ არის, დაგიჯერე რაღა!— წარმოსთქვა თავხედურად და მაყაშვილს შემოუთვალა:

მე ჩემის მთავრობის ბრძანება მაქვს: ახალქალაქი დავიჭიროო.

— და იმავ ღამეს, თანახმად თავის მთავრობის ბრძანებისა, შეუჩერებლივ გასწია წინ, ჯავახეთის შუაგულისკენ და რამდენიმე სოფელი დაიჭირა. ეხ თავხედობა ვეღარ აიტანა გენ. მაყაშვილმა, გაბრაზებით გააფურთხა და წარმოსთქვა:

— მგზნარი ფეხს დაისვი თავს აგაცოცდებაო,—დაე რაც მოხდეს, თავის თავს დაემდუროსო. ჯარის ერთი რაზმი წარგზავნა და სომეხთა გზა-აბნეული რაზმი გუმბრის, მიდამოებში შერეკა... გენ. მაყაშვილის ჯარის მრისხანება ეგოდენ ძლიერი იყო, რომ სომხები უკან მოუხედავად მიისწრაფოდენ სასომხეთისკენ..

— წინ ქვა და უკან მეწყერი!—მისძახოდენ მთელი ჯავახეთის მკვიდრნი, თვით სომხნიც კი.. ძლივს თავიხუფლათ ამოვისუნთქეთო!.

ამავე დროს ჯავახელნი გენ. მაყაშვილს მადლობას უცხადებდენ თავდამსხმელთაგან დაფარვის გამო და მის რაზმში ეწერებოდენ, ხოლო რაზმის ერთ ხელმძღვანელთაგანს, პოლკ. ჭუჭუ კოდუას ხელთ უკოცნიდენ:

— კურთხევა მშობელს შენსა, რომ ავაზაკთაგან გადაგვარჩინეო...

გენ. მაყაშვილი უფრო წინ წაიწევდა ერევნისკენ,—ასეთი იყო მისი შურის ძიების გეგმა,—რესპუბლიკის მთავრობის საჩქარო ბრძანება რომ არ მიეღო:

— შეჩერდი! წინ ნულარ წახვალ, ნურც სომეხთა ჯარს გადმოუშვებო!..

ქართველის ამოგებული ხმალი ქარქაშს ჩაეგო, მხედრის აღზორგებული გულის ცემა მდუღვით საგულეს ჩატრიალდა..

მაგრამ იმ ხანად სომხებმაც ჯავახეთში შეაჩერეს იარაღის ქღარუნი და ენის ლაქლაქი,—აქ-იქ ჩუმ-ჩუმად თუ ბაძვრებოდენ და საიდუმლო ქსელებს აბამდენ საქართველოს წინააღმდეგ... (გაგრძელება იქნება).

## სამგლოვიარო ფურცელი



კომპოზიტორი ნიკოლოზ სულხანიშვილი

ულმობელმა სიკვდილმა, უფრო კი დაუდევრობამ შეიწირა ჩვენი ეროვნული მუსიკის მაღალ ნიჭიერი ქურუმთაგანი.

უნუგეშოდ დარჩა არა მხოლოდ წვრილი ცოლშვილი, არამედ ნამდვილი ქართული ოპერაც „პატარა კახი“ ვერ დაამთავრა.

და რის დაწერაც მოასწრო, დიდი ყურადღების ღირსია: ყოველი ნაქვთი მისი შემოქმედებისა სამუსიკო დარგში მუდამ ხელი სხელ საგოგმანები იქნება.

დარჩა დიდძალი სამუსიკო ხელნაწერები.

ქართველი საზოგადოების ვალია იზრუნოს როგორც მისს ნაწარმოებებზე, ისევე ოჯახზე.

ნიკო ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, შემოქმედები ხანაში და მხოლოდ ქართველურმა დაუდევრობამ, ჩვენებურმა გულცივობამ ასე უდროოდ შესწყვიტა მისი გულისცემა.

ნუღამც იქნების ასე...

### კოტე დოდაშვილი

როცა ქართულ ენას პატრონი არ ჰყავდა, კ. დოდაშვილმა მაშინ დაიწყო მისი კვლევა-ძიება. ეს იყო 80 90-იან წლებში. დაწერა რამდენიმე საგრამატიკო გამოკვლევა. მისი გამოკვლევანი დაბეჭდილი ძველს „ივერია“-ში და სხ. სწერდა რუსულ ჟურნალშიაც, ოლქის მზრუნველის გამოცემაში.

გულწრფელი ქართველი იყო და დიდი გამკიცხავი გადაგვარებულთა. სხვათა შორის, მის კალამს ეკუთვნის „კვალში“, ბალტაზარის სახელით, შემდეგი ლექსი:

„სკუგა“ მკლავს, „სკუგა“ მაწუხებს,
მიხმირებს „დიხანიასა“
გადავბრუნდები „პასტელზე“,
დავიწყებ „მეჩტანიასა“.

მუსიკისა და ხელოვნების დიდი მოყვარული იყო. გარდაიცვალა სიღარიბეში.



### ვანო სათაშვილი

სამშობლოს დამოუკიდებლობის ერთი გულმხურვალე მოტრფიალეთაგანი იყო ვანო სათაშვილი. 1905 წ. განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს დუშეთის მხრის გლეხებში მუშაობდა ვანო გლეხის სახელით, ბოლო ხანებში ჰკრედაქტორობდა კვირეულ ჟურ. „ექიმის თანაშემწეს“. გარდა ამისა სწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ერთი გულმხურვალე მონატრე—მუშაკთაგანი იყო სამშობლოს თავისუფლებისა და ხალხის განვითარებისა. აქვს პიესაც. მისი ნაწერები ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული. სიკვდილი მისი ნაადრევი იყო და ამიტომაც გულსაკლავი. დარჩა წვრილშვილი სრულიად უპატრონოდ.

ი—ელი

# შავი აჩრდილი

დაბადებიდან სულ თან დამდევს შავი აჩრდილი,
ვით დედა შვილსა თავს მევლება, აღარ მშორდება;
სურს მომანატროს ცივი მიწა, შავად გათხრილი
და მომიშხამოს სიყვარულზე ტკბილი ოცნება.

შვების ხმაზედა რომ ვიმღერო, არ მაძლევს ნებას,
ფრთათა ბარტყუნით გულში მიკლავს სულის სიმშვიდეს;
ის მაწყევლინებს ჩემს გაჩენას, ჩემს დაბადებას—
სურს, რომ ჩანგური სულ ტიროდეს, სულ ცრემლებს ღვრიდეს.

მაგრამ, როდესაც გადავხედავ ტურფა ბუნებას:
ცელქსა მდინარეს, ამაყსა მთებს და მწვანე მხარეს,
გული სიცოცხლით ამევსება, ვგრძნობ უკვდავებას
და სილამაზით მოხიბლული თაყვანს ვცემ მთვარეს.

შავი აჩრდილი ცრემლებს აფრქვევს შეშინებული,
ცისა და მიწის შუა იგი ველარ თავსდება;—
მყისვე დამტოვებს მოწყენილი, დამარცხებული
და შავს უფსკრულში სამუდამოდ ჩაიკარგება.

კ. საჭილაველი



**საქართველოს მთავრობა**

ნოე ჟორდანია, ევგ. გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და კ. კანდელაკი, რომელთა სწორმა მოქმედებამ აწინდელი საქართველო ევროპიელთ თვალში აამაღლა და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა დააჩქარა! სალამი მათ!

# სცენა რედაქციაში

**ვოდ. 1 სურათად.**

მოქმედნი:

1. **რედაქტორი.**
2. **ასოთამწყობი.**
3. **სტუდენტი.**
4. **უცნობი.**
5. **ქართ. მსახიობი.**
6. **ფუტურისტი.**
7. **მეარღნე.**
8. **სუფრაჟისტა.**

(რედაქცია. კედლები მორთულია ქართველ და უცხოელ მწერლების სურათებით. მაგიდაზე გაზეთები და ხელნაწერები ყრია).

**რედ.** (გაჯავრებული ზის და სწერს).

**ამწყ.** ამხანაგო რედაქტორო!

**რედ.** ნუ მიშლი, მერე მელაპარაკე!

**ამწყ.** არც მე მცალია... ჯამაგირი უნდა მომიმატო!

**რედ.** (დააგდებს კალამს) ძლივს წერის ხასიათზე მოველი და შენ ჩამიშხამე.

**ამწყ.** მე მუშაობა აღარ შემიძლია... ან ორი ათასი მან. თვეში, ან და...

**რედ.** კაცო! ასე მაღალ ციფრებით რომ მელაპარაკები, მერე იცი ჩემი ჯიბის ამბავი? მოდი ამხანაგად შემოდი: შემოსავლის ნახევარი აიღე, სხვა რა გინდა?

**ამწყ.** მე კამპანიონობა არ მინდა, მე მუშა ვარ. შენ დიდ მოგებას ხედავ, რა მე მპატიჟობ? არა, ძმაო, ან ორი ათასი, ან და მშვიდობით.

**რედ.** რა ვქნა არა მაქვს.

**ამწყ.** არა გაქვს—დახურე, არა და—უმუშოდ როგორ გასძლებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა





**არჩილ ჯორჯაძე**

მამულიშვილი, რომელმაც 17 წლის წინად პარიზში გამოსცა ფრანგულ-ქართული ჟურნალი და საქართველოს უფლების აღდგენა მოითხოვა. კურთხევა: ოცნება მისი აღსრულდა!

---

**რედ.** მე თვითონ ვიქნები ამწყობიც, რედაქტორიც, მწერალიც, ყველაფერი.

**ამწყ.** მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ვნახოთ როგორ ააწყობ?

**რედ.** (განაგრძობს წერას. შემოდის სტუდენტი, სიყვარულის აღმოდებული. აღელვებული, განკალით ლაპარაკობს).

**რედ.** რა გნებავთ?

**სტ.** რედაქტორი თქვენ ბრძანდებით?

**რედ.** დიახ!

**სტ.** მიშველეთ! (ქვითინით დაეშვება რედაქტორის მუხლებზე).

**რედ.** (შეშინებული) ყმაწვილო დამშვიდი, რა გატირებს? წყალი დალიე, ნიკო, მოიტა თუნგით წყალი,

**სტ.** წყალი კი არა, მდინარეში ორი კვირა რომ მაბანავო, მაინც ჩემი გული არ გაგრილდება.

**რედ,** რა მოხდა?

**სტ.** მე...მე...შე...ყვარებული ვარ.

**რედ.** (იღიმება). ეხლა კი მესმის: მაგრამ ჩვენი რედაქცია რა შუაშია?

**სტ.** უნდა დამიბეჭდოთ. (ადგება და ნაწერ რვეულს აწვდის). მანდ ჩემი გრძნობების დრამა სწერია. (რედაქტორი კითხულობს. პაუზა.)

**რედ.** იცით რა მოგახსენოთ, მე თქვენ გრძნობებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ...

**სტ.** რა მაგრამ?...

**რედ.** სამწუხაროდ, თქვენი ნაწარმოები ვერ დაიბეჭდება.

**სტ.** მაშ აქაც უარი, ღმერთო! (გული უღონდება).

**რედ.** ვაიმე, მიშველეთ, კაცი კვდება! ბიჭო ნიკო, მალე წყალი! (ბიჭს შემოაქვს ვედრით წყალი და სტუდენტს გადაასხამენ. უგონოსგნელი ნელ-ნელა გონს მოდის).

**სტ.** სადა ვარ? ეგ შენ ხარ ჩემო მარგალიტო თამარ? (მოეხვევა რედაქტორს).

**რედ.** რომელ მარგალიტებს ხედავ; გონს მოდი. ღმერთო, ეს რა შარს გადავეკიდე.

**სტ.** ახ, რედაქტორო, თქვენ ხართ? ოხ მირჩიეთ, რა ვქნა?...

**რედ.** ვაჟკაცი უნდა იყო. თუ ქალი არ თანაგიგრძნობს, დაანებე თავი, ზედ ხომ არ გადაყვები?

**სტ.** სუ! უმალ ჩემ თავს დავივიწყებ...როგორ დავანებო თავი იმ არსებას, რომელიც ღვთაებად გადამექცა...

**რედ.** არა, კაცო, წაგეხუმრე... თუ ძმა ხარ, სალაპარაკოდ არა მცალია. შენს ნაწერს კიდევ გადავათვალიერებ და იქნება დაიბეჭდოს. ოღონდ მშვიდობიანად წადი აქედან! (სტუდენტი მიდის. შემოდის უცნობი).

**უცნ.** (თავზე ფაფახი ახურავს, გვერდზე მაუზერი ჰკიდია, მრისხანედ). გამარჯობა. არ მიცნობ?

**რედ.** პირველად გხედავ, ვინ ბრძანდებით?

**უცნ.** შენ კი არ მცნობ, არამედ არ მიცნობ?

**რედ.** უკაცრავად, რა გნებავთ?

**უცნ.** ეგ რა კითხვაა?

**რედ.** რითი შემიძლია გემსახუროთ?

**უცნ.** შენისთანა გლახას მოსამსახურედაც არ ავიყვანდი. მე საქმეზე მოვედი.

**რედ.** ბრძანეთ...

**უცნ.** ჩუმად, ნუ მიშლი, თორემ... (დაარტყამს ჯოხს მაგიდაზე, რედაქტორი შიშისაგან ახტება).

**რედ.** ადამიანო! ამ მაგიდას რომ ამტრევ, მამიშენის ნაკეთები ხომ არ გგონია?

**უცნ.** ხმა, თორემ სულს ამოგაძრობ. აჰა ჩემი ლექსი, უნდა დაბეჭდო.

**რედ.** (კითხულობს). ჩემი მუზა ცაში ფრინავს,
მე კი ქვეყნად ვიარები,
პოეტი ვარ, ლადო მქვიან,
და საშინლად მძულს ვირები

. . . . . . . .

— იცით რა მოგახსენოთ?

**უცნ.** რაო? კიდევ უნდა მომახსენო?

**რედ.** (გულ მოსული). მამა გიცხონდა ნუ ყვირი, გულის ფრიალი მაქვს. ეგ ლექსი ვერ დაიბეჭდება.

**უცნ.** მე თავი დავიმცირე, ლექსი მოგიტანე და შენ კი არ ბეჭდავ? (წაავლებს კისერში ხელს და ახრჩობს).

---



**ივანე მაჩაბელი**

რომელმაც ინგლისის ჰენიოსის შექსპირის ტრაგედიები ქართულად სთარგმნა და საქართველო-ინგლისის დაახლოების ხიდი გასდო. ახაროს: ნატვრა მისი აღსრულებულია.



დიმიტრი ყიფიანი

რომელმაც მამშობლოს უფლების დაცვას შესწირა თავი. იხაროს სულმან მისმან: საქართველოს სულთამხუთავნი მოშორდენ!

**რედ.** ვაი, მიშველეთ, ქრისტიანებო! (შემორბიან მუშები და აშველებენ).

**უცნ.** (ჯოხით ლეწავს იქაურობას). მე, მგოსანთა მეფე, და ლექსი ჩემი არ დაიბეჭდოს? მე მაგას ვუჩვენებ სეირს! გამომიჩდა კრიტიკოსი. არ დაგიბეჭდია ლექსი, შენ რედაქციას ცეცხლს მოვუკიდებ. ჩემი ყველას ეშინია... (მიდის. რედაკტორს წყალს აწვდიან).

**რედ.** ღმერთო, რა შევცოდე! (შემოდის ქართველი მსახიობი).

**ქარ. მსახიობი.** ჟურნალში რათ გამლანძღე?

**რედ.** სცენაზე დათვივით დაიარები, პარტნიორშას სიყვარულს ისე ექსტაზით უცხადებ, რომ შემდეგში. იგი სნეულდება. აი მაგალითად წუხელი: მის მაგიერ რომ ნაზად მოხვევოდი, კინაღამ არ დაგიხვრჩია, არც ძვალი უვარგა, აღარც ყელი. ტრაღიკულ როლებს რომ ასრულებ, მაყურებელი სიცილით კვდება... არც სკოლა, არც სტილი... და ამის მაყურებელს შენი თავი უნდა შემექო?

**მსახ.** აი, რეალიზმი სწორედ ამას ქვიან და შენ კი არ მაფასებ. ჩემისთანა მსახიობი ქართველებს ცალი არ ყავთ და შენ კი არ მაქებ.

**რედ.** წადი, სასცენო სკოლა გაიარე, ისწავლე ნამდვილი მსახიობი გახდი და მაშინ ვნახოთ—საქები ხარ თუ არა.

**მსახ.** ოცი წელიწადია სცენას ვემსახურები და ეხლა მგზავნი სასწავლებლად? წავიდე, გიქუას სარდაფში, იქ ჩემი ამხანაგები მიცდიან დროს გასატარებლად, შენთან ლაპარაკი—დროს დაკარგვაა... (მიდის. შემოდის მეარღნე და არღანზე უკრავს).

**რედ.** ძმობილო, აქ ღვინის სარდაფი არ გახლავთ, რედაქციაა, გზა შეგშლიათ.

**მეარ.** არა, სწორედ შენი ნახვა მინდოდა. ვიღაც ილიკო ქურხული დაეხეტება ხალხში და არღნის წინააღმდეგ ქადაქებს: ნემეც ბეთხოვენას სკრიპკა უნდა შემოიღოთო. ჩვენ სასარგებლოდ დაწერე რამე, მე მეარღნეების უსტაბაში ვარ.

**რედ.** არ გაეთრევი აქედან?

**მეარ.** ვა, რას ჯავრობ?

**რედ.** შენ კი მოგერევი!—(კისერში ხელს მოჰკიდებს და გაათრევს გზაში სუფრაჟისტა შეეფეთება).

**რედ.** ახ, უკაცრავად!

**სუფ.** (ამხანაგურად მხარზე წაკრავს). არა უშავს, ამხანაგო! მე სუფრაჟისტა ვარ.

**რედ.** გთხოვთ დაბძანდეთ! რითი შემიძლია...

**სუფ.** (უცებ). პაპიროსი გაქვს? (რედაქტორი გაკვირებული მიართმევს პაპიროსს. სუფრაჟისტი ფეხი ფეხზე შემოდგმული სწევს). ეხლა საქმეზე! მოგიტანეთ წერილი ქართველ ქალის უფლების შესახებ. (გადასცემს. რედაკტორი კითხულობს, თან შიშით უყურებს სუფრაჟისტს).

**რედ.** ბატონო, ეს ხომ ცეცხლი და მახვილია. რომ დავბეჭდო, ხომ ჯვარს გამაკრეს.

**სუფ.** რა არის მანდ საშიში?

**რედ.** ყველაფერი... აი, მაგალითად: თქვენ სწერთ ოჯახის შესახებ. ქალმა აღარ უნდა შობოს, რადგან იგი სნეულდება და მალე შორდება ამ ქვეყანასო. ეს რომ დაიბეჭდოს, ხომ გადავშენდით? ვინ უნდა შობოს ჩამომავლობა? მანქანებით ხომ არ შეიძლება?...

**სუფ** დიახაც მანქანებით. აი გერმანიის ერთ უნივერსიტეტში გამოსცადეს, და მეხანიკურად გაკეთებულმა ბავშმა რამოდენიმე ხანს იცოცხლა. მეცნიერები გამოიგონებენ.

**რედ** შემდეგ თქვენ ეხებით ოჯახის დიასახლისობას: ქმარმა უნდა სარეცხი რეცხოსო, ბავშებს საცვალი შეუკეროსო.. ეგ რომ ჩემმა ცოლმა წაიკითხოს, ხომ სულ გადამიშენდა? არა, არ დავბეჭდავ...



დავით ერისთავი

„სამშობლო"-ს გადმომკეთებელი, რომელმაც სცენაზე პირველად გამოიტანა საქართველოს დროშა და ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობანი აღძრა. იხაროს სულმან მისმან: საქართველოს დროშა დღეს ამაყად ფრიალებს თავისუფალ საქართველოში.



იაკობ გოგებაშვილი

რომელმაც სამშობლო ენით სწავლებასა და ეროვნულ სკოლის ალორძინებას შესწირა მთელი სიცოცხლე. მარად ხსენება: დღეს სამშობლო უკვე თავისუფალია და მშობელ ენით მეტყველებს!

**სუფ.** აჰა, გეშინიათ? სულ ერთია ქალი გათანასწორდება მამაკაცთან.

**რედ.** საქართველოში ქალი გათანასწორებული კი არა, ოჯახში ბატონია...

**სუფ.** სამზარეულოს ბატონია და არა ოჯახის, აი, ცოლად უნდა გყავდე, გიჩვენებდი როგორ უნდა ახალ გემოზე ოჯახური ცხოვრება.

**რედ.** ღმერთმა დამიფაროს!

**სუფ.** რაო? (თმაში სტაცებს ხელს) მე შენ გიჩვენებ...

**რედ.** ვაიმე! ქალო თმას ხელი. წაგეხუმრე.

**სუფ.** (გაუშვებს) ჰო, თუ ხუმრობდი, გაპატიებ. ჩვენ ქალთა კავშირს ვაარსებთ უფლებების მოსაპოებლად. მოიცათ. დადგება ანგარიშების გასწორების დღეც! (მიდის. რედაქტორი მძიმედ ამოიქშენს. ტელეფონის ზარი).

**რედ.** (იღებს ყურმილს) შენ ხარ კოლა? გამარჯობა!.. როგორა ვარ? შენი მტერი იყოს... ამ არეულმა დრომ ჩვენი მწერლებიც არია. მგონია სრულ ჭკუაზე აღარავინ არის. იქამდე მიმიყვანეს, რომ ლამის რედაქციიდან გავიქცე. მოდი, დაწვრილებით გელაპარაკები. რაი? შენი წერილები? კაცო, რა ამბავია, ვერ დასწერ მოკლე წერილებს. ყოველ წერილში აბრამის ისტორიიდან იწყებ. დროს ვერ უყურებ. თუ ძმა ხარ მოკლე წერილები წერე. მიხას გიდაეცი, თავის წერილებს მუშას ნუ აწერს. კაცო მეცნიერულ საგნებს ეხება, რომელიც პროფესორსაც კი გაუჭირდება, ის-კი „მუშას აწერს... მშვიდობით... (დებს ყურმილს. შემოდის ფუტურისტი, რომელსაც წითელი შარვალი აცვია, ყვითელი ჰერანგი, ხელში სადებავები უკავია.)

**ფუტ.** იმალას!

**რედ** რაიო?

**ფუტ.** ეგ ჩვენებურად ნიშნავს სალამს.

**რედ.** მაგეებისთვის არ მცალია. რა გნებავს?

**ფუტ** ლექსი მოვიტანე!

**რედ** (კითხულობს).

ლალალი ბალალი ქრეონის ასულს
სულ აფარფატებს ტაფი ქაფებით
შიშინაკვრობით დაუკუნცულარს
ფართუ და ფეშვი დაიძაფებით.

(რამდენჯერმე კითხულობს: გაკვირებით) თქვენ ალბად გზა შეგშლიათ. აქ ქართულ ჟურნალის რედაქცია გახლავთ.

**ფუტ.** ჩემი ლექსი ჩინურ ენაზე არ სწერია. თქვენ სწორედ არ კითხულობთ. აგრე უნდა კითხვა (სიცხეში მყოფივით და ჰრანწვა-გრეხით ცეკვავს).

**რედ** (თავისთვის) საწყალი! შერეულა. (ფუტურისტს) ეს ქართული ლექსი არ არის. ათი ლექსიკონი წამიკითხავს, სამი თვითონ შემიდგენია და ამ ნაირი სიტყვები სწორე გითხრა არ შემხვედრია.

**ფუტ** მე ფუტურისტი ვარ!

**რედ.** ფუტურისტიო?! ეგ რაღა მიმართულებაა?

**ფუტ.** პირველად გესმის?

**რედ** დიახ!

**ფუტ** აი, ეხლავე აგიხსნი, დახუჭე თვალები და მანამ მე არ გითხრა, არ აახილო! (რედაქტორი თვალებს ხუჭავს. ფუტურისტი სადებავებს უსვამს პირისახეზე და უცებ გადააცვამს ყვითელ ჰერანგს).

**რედ** რას მიშვრები, ხომ არ გაგიჟდი? (ფუტურისტი სარკეში ჩაახედებს).

**ფუტ** სცნობ შენ თავს?

**რედ.** არა!

**ფუტ.** აი, ეგ არის ფუტურიზმი! (რედაქტორი გაშტერებული მისჩერებია ფუტურისტს)

ფარდა.

**სვ. წერეთელი**



ვაჟა-ფშაველა

მამულიშვილი მგოსანი, რომელიც მარად სამშობლოს თავისუფლებისაკენ მოგვიხმობდა. ნეტარ ხსენება მის სახელს სამშობლო გამარჯვებულია!

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ხაშურის გმირები

(წლის თავის გამო)

„Съ вѣрой на лучшее тратилъ ты силу,
Но въ цвѣтѣ надежды и силы угасъ"...

м. გორსკი.

26 დეკემბერს ვერ დაივიწყებს საქართველოს რევოლიუციონური დემოკრატია, ისე, როგორც ვერ დაივიწყებს 13 დეკემბერს. შულავარს წინ მიუძღოდა ეკატერინეფელდი...

რა მოხდა აქ, შულავერში ისეთი ღირს-შესანიშნავი და რით შეიქნა 26 დეკემბერი ჩვენი ხალხისათვის დაუვიწყარი?..

ამ დღეს (წარსულ წელს) შულავერის მიდამოებში მსხვერპლად შეიწირა ხაშურის მუშათა რევოლიუციის ერთგული დარაჯნი: ლ. მეტრეველი, ალ. სირაძე, ს. ლომიძე, ვ. ჩაფრაძე, ი. მშვიდობაძე, აბაიძე, ჯანტლიაშვილი და სხვა... აქ, შულავერში, თავიანთი საკუთარი სისხლითა და ძვლებით დაიცვეს ჩვენი ქვეყანა ხაშურის გმირებმა წარსულ 26 დეკემბერს, მუხანათ მტრის შემოსევისაგან. აქ დალიეს მათ თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, მაგრამ ხალხი გადაარჩინეს, თავისუფლება იხსნეს განსაცდელისაგან. ამიტომაც უკანასკნელი ვერ დაივიწყებს 26 დეკემბერს და მის გმირებს... მაგრამ ყველაზე უფრო მწვავე და დაუვიწყარი 26 დეკემბერი ხაშურის ამხანაგებისათვის იქნება; მათ პირდაპირ საკუთარი გულიდან მოსწყდათ საუკეთესო ამხანაგები და გამოცდილი მებრძოლნი, რომელნიც თავგანწირულ დარაჯათ უდგენ რევოლიუციას. მათ, გამარჯვებულ ამხანაგების მოლოდინში, სრულიად მოულოდნელათ ერთბაშათ თვრამეტი კუბო მიიღეს; გამარჯვების ყიჟინის ნაცვლათ — გლოვა და ზარი...

მე, პირადათ, მახსოვს ეს გულშემზარავი სურათი, როდესაც ხაშურის ამხანაგებს მიცვალებულთა კუბოები გადმოჰქონდათ მატარებლიდან... ისინი ჰირისუფლებს ანუგეშებდენ, აჩუმებდენ; მაგრამ თვით კი საშინელი ცრემლის ფრქვევით მიწას ასველებდენ, თავ-პირში იცემდენ ხელებს.. მახსოვს, როდესაც ერთ მოკლულის პატარა ვაჟი, გულშემზარავ მოთქმა-ტირილის შემდეგ მომავალ მატარებლისკენ გაეშურა, თავის მოსაკლავათ, მაგრამ იღბლათ ის გადაარჩინეს... მახსოვს, წარსული წლის 2 იანვარს, თუ როგორი გულშემზარავი ცრემლთა ფრქვევით ეთხოვებოდენ „ძმათა სასაფლაოზე" ამხანაგ—

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეომრები და ჭირისუფალნი დახოცილ გვარდიელთა კუბოს. ისინი ყველანი ერთმანეთს ანუგეშებდენ და აჩუმებდენ, მაგრამ ყველანი ერთნაირ ტანჯვითა და გულის ტკენით მოსთქვამდენ; ჭირისუფლებსა და სხვა დამსწრე ამხანაგებს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდით... ამიტომაც, ყველაზე ცოცხლათ და დაუვიწყრათ 26 დეკემბერი და მისი გმირები ხაშურელ ამხანაგების მეხსიერებაში დარჩება...

მაგრამ ხაშურის გმირები და მათი დაობლებული ცოლ-შვილი არ უნდა დაივიწყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამაც, რომელთა სისხლით მოპოებულ თავისუფლებითაც ჩვენ დღემდე ვსტკბებით... ხაშურის თავ-განწირულ გმირთა ცოლ-შვილს დღემდისაც არ მიუღია მთავრობისაგან რაიმე დახმარება და მათი „პენსიის ატესტატები“ კანცელარიიდან კანცელარიაში დადის, იმ დროს, როდესაც მეტ ყურადღებას უფრო უბრალო საქმეებს აქცევენ...

დროა, „საპენსიო ატესტატების“ კანცელარიებში თრევას ბოლო მოეღოს და ღირსეულ გმირთა ოჯახები მაინც ღირსეულათ დააჯილდოვონ...

G



**მსახიობი ალ. შანშიაშვილი**

10 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო. მისი მთავარი როლებია: ფრანც მოორი, სოლეიმანი, შიქრო ჩვილიშვილი, ტერეზი და სხ.



**— ნინო ჩხეიძის 25 წ. იუბილე.** ქრისტეშ. 21 სახელმწ. თეატრში დილა-საღამოს ნამდვილი დღესასწაული იყო ხელოვნებისა და ეროვნულ შემეცნებისა. დილით გაიმართა მილოცვები და „აბესალომ და ეთერის“ 2 მოქ. საღამოთი პიესა „უბედური ნაბიჯი“, „ლალატი-ს“ ბოლო მოქ. და ამხანაგთაგან მილოცვები იშვიათად გვინახავს ასეთი გულმხურვალე შეგებება მოღვაწისა: მილოცვები, ფულით შესაწევარი, ვარდ-ყვავილები,—აი რით გაიქლინთა მთელი დილა. თვით მოიუბილიარე ნეტარების ცრემლებს აფრქვევდა. ნეტარებდა იგი, ხარობდა ქართველი ერი და კიდევ უფრო მეტის სიამაყით ივსებოდა ქართველი ქალი ნინო ჩხეიძის დიადობით. და ჩვენ გვწამს ეს დღე არა ერთს და ორს ახალგაზრდა ქალს გამო წვევს სამოღვაწეოდ, რადგან დაინახა, რომ სამშობლო ხელოვნების ტაძარში უმწიკვლო შრომა მუდამ ფასდება.

საუცხოო სიტყვა წარმოსთქვა ივ. გომართელმა. აღსანიშნავია, რომ იუბილეებში ახალგაზდობა—უფრო მეტს გულწრფელობას იჩენს. მეტად მოსაწონი იყო აზრიანი და მთლიანი სიტყვა სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამ. სტუდიის წარმომადგენელის ქ-ნ ავალიანის ასულისა: სილამაზე, სისრულე, ხელოვნება, აი რა ახასიათებდა მისს სიტყვას. აგრეთვე ყურადღების ღირსია მეორე გიმნაზიელის ქალის სიტყვა; საერთო აღფრთოვანება გამოიწვიეს პატარა სცენის მოყარეებმა 8—9 წ. წ. მოწაფეებმა, განსაკუთრებით ქალმა, რომელთაც ლექსით მიმართეს იუბილიარს. მიულოცეს სხვადასხვა დაწესებულებათა და რედაქციათა წარმომადგენლებმა, იყო დეპეშებიც. მოსაწონი იყო აგრეთვე რუს მსახიობთა კავშირის წარმომადგენელის სიტყვა, რომელმაც, სხვათა შორის ნინო ჩხეიძეს უთხრა: დიდი ტალანტი, დიდი დამსახურებული მოღვაწე ბრძანდებით, მაგრამ მაინც „ჩვენს“ თეატრში ხართ სტუმრადო.—ეს უნდა გულის ფიცარზე დაიჭდიონ ჩვენის ხელოვნების სვე-ბედის მჭრელთ...

საღამოს ნინო ჩხეიძემ ვაროს („უბ. ნაბ.“) და ზეინაბის („ლალ.“) საუცხოო ასრულებით, აგრეთვე გუნიამ, ჭიაურელმა ეპიტაშვილმადა სხ. წარმოგვიდგინეს ნათელ-სხივოსანი ხანა ჩვენი მელპომენის და გვიჩვენეს რომ ქართ. სასცენო ხელოვნების კერა კიდევ ღვივის, ხოლო თუ დღეს ნაცარ მიყრილია, იმიტომ რომ ღირსეული ქურუმნი არა ჰყავს. იუბილიარს წმინდა შემოსავალი 80000 მანეთამდის დარჩა.

**კენტი.**

**— თელავში** ამ უკანასკნელ დროს სათეატრო საქმემ საგრძნობლად წაიწია წინ. აქ უკვე არსებობს 3 სცენა: 1) საზოგადო საკრებულო, 2) მუშათა კლუბი და 3) ახალი თეატრი. წარმოდგენებს თითქმ ს ყველა თეატრებში ბლომა მსმენელნი ჰყავს. მუშათა კლუბმა წარმოდგენების სისტემატიურ გამართვისთვის უკვე კარგა ხანია შეადგინა გამოცდილ სცენის მოყვარეთა წრე და მიიწვია ჯამაგირებით რეჟისორად დ. აწყურელი, სუფლიორად ბ. ბეგლარიძე. რადგანაც მუშათა კლუბში ნაკლებ ფასიანი ბილეთებია, უფრო მეტი ხალხი ესწრობა.

**მა-ლი.**

**— მუშათა კლუბში** სცენის მოყვარეთა წრემ ქრისტეშობისთვის 24 გუჯუშვილის რეჟისორობით დადგა ს. ჭანტურიშვილის პიესა „მორევში“. პიესა შინაარსიანია, მხოლოდ ავტორი არ ასცდა იდეალიზაციას. დარბაისელი ტიპი კოტე და ისიც ფიცხი გურულებისაგან აღებული—გადამეტებულია. აღმსრულებელთა შორის აღსანიშნავია ალ. ლოლუა. მან ნათლად გადმოგვცა კოტეს სულიერი განცდა, მისი საუცხოვო სასცენო ხმა და მიმიკა იმედს გვაძლევს, რომ მომავალში იგი ნიჭიერი მსახიობი გამოვა; გერგესელი (ტრიფონი) განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში იყო კარგი. ქალები ძალზე სუსტობდენ ჩარკვიანის გარდა. დეკორაციები შესაფერი იყო, დარბაზში საშინელი სიცივეა. თუ კლუბის საბჭომ ყურადღება არ მიაქცია, წარმ დასწრება შეუძლებელი იქმნება.

**— არსენალის თეატრში** ქრისტეშ. 28 მ. აბრამიშვილისა და ვ. წილოსანის თაოსნობით წარმოდგენილ იქმნა

„სიკვდილი ჩრდილოეთში“ და „მოფურჩხულია“. მონაწილეობდენ: ზემოხსენებულ პირთა გარდა: ვარა ნასყიდაშვილი, ა. გვარჯალაძე, პ. დოლიძე და ლ. ცინცაძე. სცენის მოყვარეებმა ნაჭიერად შეასრულეს ნაკისრი როლები, რითაც დაიმსახურეს მხურვალე ტაში. წარმოდგენის ბოლოს იოსებ იმედაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა თეატრის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე, დოლიძემ ლექსი. ვ. წილოსანმა გურული სცენებით ბევრი აცინა დამსწრენი. დაესწრენ უმთავრესად ჯარის-კაცნი. წმინდა შემოსავალი „თეატრი და ცხოვრება“-ს გაეგზავნა. მადლობის ღირსნი არიან ყველა ზემორე სცენის მოყვარენი, რომელთაც სრულიად უფასოდ მიიღეს მონაწილეობა, აგრეთვე მადლობის ღირსია დრამ. წრის თავმჯდომარე ამაშუყელი და ჩიკვაიძე დარბაზის უფასოდ დათმობისთვის. *) გულის წყრომით უნდა აღინიშნოს ბ-ნ გ. ძნელაძის საქციელი, რომელმაც თუმცა იცოდა წარმოდგენას რა დანიშნულება ჰქონდა, რა მცირე შემოსავალი იყო და მაინც 700 მ ნ. წაიღო. **ჯ-ე.**

— **საგანგებო ბათალიონის კულტ.**—საგანმ. სექციამ ქრისტეშ. 20 ეროვნული ჰიმნით ასწია თვისი კოპწია თეატრის ფარდა. სექციის სახელით კ. კვერნაძემ მოკლე სიტყვით განუმარტა დამსწრეთ გვარდიაში კულტურული მუშაობის საჭიროება და ამ თეატრის მიზანი, იოსებ იმედაშვილმა „თეატრი და ცხოვრები“-ს სახელით მიულოცა დამსწრეთ ამ დიდებული საქმის დაწყება, გამარტა საზოგადოთ ხელოვნების, კერძოთ თეატრის მნიშვნელობა განსაკუთრებით მხედრებისთვის და უსურვა წარმატება; ვ. ჯუღელმა ახსნა კულტურის დიდი მნიშვნელობა, გვარდიის სულიერი დაკმაყოფილების საჭიროება და სხ., გრ. გიორგაძემ ვრცლად მოიხსენია გვარდიის დამსახურება ჩვენის სამშობლოს წინაშე და მისი კულტურულად ამაღლების მნიშვნელობა. მ. ქართველიშვილმა, მ. მარგველაშვილმა გ. გელიკურაშვილმა, კოჰლამაზაშვილმა და ლეკიშვილმა ცოცხლად წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ—მერე იქორწილეს“. კობახიძემ მოხდენით წაიკითხა სომხური სცენა; კახელთა და გურულთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა, ბოლოს ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით დაიდგა ცოცხალი სურათი. საღამოზე მუსიკა უკრავდა. წარმოდგენის შემდეგ მთელ ყაზარმაში ნადიმი გაიმართა, ყველა დარბაზი (6 თუ 7) საუცხოოდ იყო მოწყობილი, გაკაშკაშებული და გვარდიელნი მოილხენდენ. ყველას მიულოცეს სამხედრო მინისტრმა ნ. რამიშვილმა, ვ. ჯუღელმა, ქალაქის მოურავმა ბენია ჩხიკვიშვილმა, ქალაქთა კავშირის თავმჯდომარემ ნ. ელიავამ და სხ. დაესწრენ საპატიო სტუმარნიც. სტუმრებს ვახშამი გაუმართეს იქვე, რომელმაც გათენებამდე გასტანა: ვუსურვებთ ასეთი კულტურული მუშაობის მაგალითი სხვებსაც გადაეღოთ.—ჩვენი ჯარის უდიდესი იარაღი ეროვნულ-კულტურული გათვითცნობიერება უნდა შეიქნეს. **იზოლი**

— **ქართულმა საოპერო სტუდიამ** პირველი ნაბიჯი „შოთა რუსთაველით“ სანაქებოდ გადასდგა სახელმწიფო თეატრში. ოპერა ალ. ახმეტელმა სრულიად ახალი მიზანსცენებით დასდგა. გუნდის ჩაცმულობაც ახალი იყო, უფრო დაახლოვებული ქართულ ყაიდასთან. დიდებულთა ლხინი, სასახლის ელფერი და სხ. ყოველივე უფრო გვითვალისწინებდა ბრწყინვალე წარსულს. ამსრულებელთაგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ვ. ლორთქიფანიძე (მგოსანი) და დ. აკოფაშვილი (აბდულარაბი): მათ დიდის ხელოვნებით აღასრულეს ნაკისრი მოვალეობა; ორივეს წარმატება ეტყობა და ქართული ოპერის თვალსაჩინო შემატებაა. დიდ ყურადღებას იქცევდა ფავლენიშვილის ასულიც (გულჩინა, შოთას მეუღლე) თვისი გარკვეული, მკაფიო გამოთქმით და სიმღერით, ოღონდ ხმა მისი ცოტა მაღალ ფარდოვანად ისმოდა. გაბაშიძის ასულმა კარგი ნინო მოგვცა. უფრო მეტი მოეთხოვებოდა თამარისა და შოთას ამსრულებელთ: ვერც ტანით, ვერც ხმით ვერ შექმნეს სასურველი ხატებანი,—თუმცა ორივეს საამო ხმა აქვთ, მაგრამ არა ამ პარტიებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ შოთას ამსრულებელი ჰუმბურიძე უკანასკნელ სცენაში მეტად კარგი იყო—შოთას სულიერი განცდა საუცხოოდ გადმოგვცა. მოხდენილი ხატება შექმნა დიდებულის ამსრულებელმაც. მადლობისა და ვაშას ღირსია ცეკვის ოსტატი ქ ნი ბაუერზაქსი თავისი ამხანაგებით საუცხოო ცეკვისთვის.—გუნდი ვერ იყო ძლიერი, მაგრამ სასიამოვნო კი: ეს პირველი მერცხალია ქართული საოპერო გუნდისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდა მომღერალნი და გუნდის შემადგენლობა მუყაითი შრომით უეჭველად მოიმკიან ერის მადლობა. საქებია ალ. ახმეტელის დაკვირვებული მუშაობა და სასცენო გემო. მრავლად დამსწრე საზოგადოებამ ოპერის ავტორი დ. არაყიშვილი ორ გზის გამოიწვია. კიდევ ერთხელ გამოირკვა, რომ მუსიკალურ დამუშავების მხრით მას ჯერ მოქიშპე არა ჰყავს. **სიმი**

# გზა მშვიდობისა!..

(სტუდენტებს, რომელნიც სამზღ.-გარ. მიემგზავრებიან)

თქვენ იქ, შორეულ ქვეყანაში, დაიმსახურებთ ჩვენდამი ძმობა-სიყვარულს!

ძვირფასია მშობლის ბედნიერება, ეს არის შვილის ბედნიერების საწინდარი! ძვირფასია შვილის ბედნიერებაც, რადგან იგი აორკეცებს და ახანგრძლივებს მშობლის ბედნიერებას!

თავისუფალი დედა-საქართველო შვილებს გზას უკაფავს. და, იმედია განათლებული, ევროპიელ მოქალაქედ აღზრდილი შვილი ღირსეულად დააფასებს დედის ამაგს, იმედს გაამართლებს!

თქვენ, ჩვენო თანამოძმენო, მიემგზავრებით უკეთესი მზის საძიებლად, რომ განიცადოთ მეტი სინათლე და ნათელ-მფენელად დაუბრუნდეთ ახალ საქართველოს!..

ჭეშმარიტად — ბედნიერნი ხართ: თქვენი ხვედრია სამშობლოს შრომისთვის უკეთესი გზის გამოძებნა და ჩვენში მეცნიერული შრომის აყვავება!

თქვენ ხართ პირველი მერცხლები იმ განახლებულ გაზაფხულისა, რომელიც მოგვცემს საქართველოს მეორე ოქროს ხანას! გზა მშვიდობისა!..

იცოდეთ, ძმებო თქვენს შრომასა და დაუღალავ მუშაობაზე გადაფურჩქნება ახალი საქართველო!

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო დარგის სტუდენტი **სევ. ჰიჰინაძე**

*) რედაქცია გულწრფელ მადლობას უძღვნის მათ.



**კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე**
კომიკურ ოპერის „ქეთო და კოტეს“ დამწერი.— დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

# წვრილი ამბები

**საქართველოს დამოუკიდებლობის** დამტკიცება თბილისმა დიდის ზეიმით იდღესასწაულა.

**მარიამ წინამძღრიშვილის** მოთხრობათა კრებული ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნად დაიბეჭდება.

**მზადდება** გამოსაცემად „თეატრი და ცხოვრების“ საგანგებო ნომრები: 1, „თეატრი და ცხოვრების“ არსებობის აღსანიშნავად საიუბილეო, 2, ინგლისელთა ნომერი, 3, ამერიკის, 4, საფრანგეთის და 5 იტალიის. ვსთხოვთ თანამშრომელთ შესაფერი მასალა დროით გამოგზავნონ.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბში** ქრისტეშ. 22 კვირას ს. გუგუშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება კ. გერგესელის ახალი ორიგინალური პიესა „ნიღაბ ქვეშ“, დრ. 3 მოქ. ახლო წარსულიდან.

— **გვარდიის თეატრში** გაიმართა ორი წარმოდგენა: I „ბატონი და ყმა“ „მე მოვკვდი; „II“ სიკვდილი ჩრდილოეთში“, და ივ. გომართელმა წაიკითხა ლექცია ხელოვნებაზე.

— **უცხო სიტყვათა ლექსიკონი** სუფსაში „თ. და ც.“ საღამოზე გაიყიდა 1350 მან.

**რედაქციისაგან** დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ამ ნომერში ვერ წავიდა ბევრი მოღვაწის სურათი, წვრილი, მოთხრობა, წვრილი ამბები.

**შემოწირულება** „თეატრი და ცხოვრება“-ს სასარგებლოდ მივიღეთ: 1, ალ. ოლანეზაშვილისგან 500 მან. 2, ი. სირაძისაგან-250 მ. 3, ს. მ-სგან-50 მან. 4, ხაშურის გვარდიისგან ყოველთვიურად 420 მან. 2, სუფსის დრამ. წრის თაოსნობით გამართულ საღამოდან—3656 მან., იქვე სიით შეკრებილი—545. მან. ყველას გულითად მადლობას ვუძღვნი **რედ.**

**განცხადებანი** მიიღება ჟურნალში დასაბეჭდ. **ფასი ზომიერია**

პირველხარისხოვანი რესტორანი

**შამპანი!**

**ამხ—ბა ძმათა კერესელიძების და ბაქრაძეთა**
(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)
**ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.**

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.
(წლიური)

**უცხო**
**სიტყვათა ლექსიკონი**
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ; მეორე შევსებულ—შესწორებული გამოცემა.
**ფასი** 100 **მან.**
**გაწერვა შეიძლება „თეატრი და ცხოვრებიდან“**
10—1

დაარსდა 1910 წ.

**მიიღება ხელის მოწერა 1920 წ.**

**„თეატრი და ცხოვრება“-ზე**

**დაარსების წელი, X გამოცემის VIII**

დაარსდა 1910 წ.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.